როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები?

ნათელა გოროზია

ელენე სიხარულიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე (შესაბამისი) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (I-VI კლასები)

აკადემიური ხელმძღვანელი: ნათია ანდღულაძე, ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტის ხელმძღვანელი: ნინო ვაშალომიძე, სსიპ ქალაქ ოზურგეთის მე-3 საჯარო სკოლა

თანამკვლევრები: თეა კიკალიშვილი, სსიპ ქალაქ ოზურგეთის მე-4 საჯარო სკოლა, ნატალი თავართქილაძე, სსიპ ქალაქ ოზურგეთის ნ. დუმბაძის სახელობის მე-2 საჯარო სკოლა, თამარ ჩავლეშვილი, სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო სკოლა, ნინო თავბერიძე, სსიპ ქალაქ ოზურგეთის 1-ლი საჯარო სკოლა, ირინე ყაზაიშვილს, სსიპ ქალაქ ოზურგეთის ნ. დუმბაძის სახელობის მე-2 საჯარო სკოლა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათელა გოროზია

ელენე სიხარულიძე

3.07.2023.

მადლობა

მადლობას ვუხდით ქალბატონ ნინო ვაშალომიძეს (სსიპ ქალაქ ოზურგეთის მე-3 საჯარო სკოლა), თეა კიკალიშვილს (სსიპ ქალაქ ოზურგეთის მე-4 საჯარო სკოლა), ნატალი თავართქილაძეს (სსიპ ქალაქ ოზურგეთის ნ. დუმბაძის სახელობის მე-2 საჯარო სკოლა), თამარ ჩავლეშვილს (სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო სკოლა), ნინო თავბერიძესა (სსიპ ქალაქ ოზურგეთის 1-ლი საჯარო სკოლა) და ირინე ყაზაიშვილს (სსიპ ქალაქ ოზურგეთის ნ. დუმბაძის სახელობის მე-2 საჯარო სკოლა) კვლევაში მონაწილეობისთვის. განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ქალბატონ ნინო ვაშალომიძეს ჩვენი ჯგუფის მუშაობის ფასილატაციისთვის და გაწეული მენტორობისთვის.

აბსტრაქტი

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა კომპლექსური დავალებების დაგეგმვასა და განხორციელებაში არსებული გამოწვევების გადაჭრა. კვლევა განვახორციელეთ პრაქტიკის კვლევის მეთოდით და დაწყებითი საფეხურის 6 მასწავლებელთან ერთად, რომელთაგან ერთ-ერთი ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვის ქოუჩია. პრობლემის დიაგნოსტირების მიზნით, შევიმუშავეთ კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა და შევაფასეთ მასწავლებლების მიერ მოწოდებული კომპლექსური დავალებები. შეფასების შედეგების შეჯერებისა და განხილვის შემდეგ, გადავწყვიტეთ, რომ კომპლექსური დავალებების საგნობრივ ინტეგრირებაზე გვემუშავა. სამმა მასწავლებელმა, ქოუჩის დახმარებითა და ერთად მსჯელობის შედეგად, შეიმუშავა 2 ინტეგრირებული კომპლექსური დავალება. დავალებების განხორციელების შემდეგ, მასწავლებლებთან ჩავატარეთ ჩაღრმავებული ინტერვიუები და ჯგუფური დისკუსია. ნაშრომში განვიხილავთ ჩვენი კვლევის მიგნებებსა და რეკომენდაციებს.

საძიებო სიტყვები: კომპლექსური დავალება; ინტეგრირებული სწავლა; პროექტზე დაფუძნებული სწავლა; პრაქტიკის კვლევა